შპს „კავკასუს ონლაინის“ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების შეთავაზების წინადადება

(„მოწვევის ოფერტა“)

წინამდებარე მოწვევის ოფერტით განსაზღვრულია შპს „კავკასუს ონლაინის“ (რეგისტრირებული მისამართი: თბილისი, წინამძღვრიშვილის 160, საიდენტიფიკაციო ნომერი: 211380833) (შემდგომში „**ოფერენტი**“ ან „**კავკასუს ონლაინი**“) მიერ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მსურველი ყველა ავტორიზებული პირის მიმართ (შემდგომში „**აქცეპტანტი**“ ან „**მეორე მხარე**“)

კავკასუს ონლაინი უზრუნველყოფს აქცეპტანტის დაშვებას ინტერნეტის გლობალურ და საქართველოში განთავსებულ რესურსებთან შემდეგი პირობებით:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1.1. წინამდებარე მოწვევის ოფერტაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. „**დაზიანება**“ - მხარის ტექნიკური საშუალებ(ებ)ისა და/ან მოწყობილობ(ებ)ის მწყობრიდან გამოსვლა, მხარის ბრალეული (განზრახვა, გაუფრთხილებლობა) ქმედების გარეშე და ფორს-მაჟორული გარემოების არარსებობისას;

1.1.2. „**აქცეპტის დოკუმენტაცია**“ - 2.2 მუხლში მითითებული დოკუმენტები, რომლებიც აქცეპტანტმა უნდა წარუდგინოს კავკასუს ონლაინს დაშვების პროცედურის ინიცირების მიზნით;

1.1.3. „**აქცეპტის ფორმა**“ - აქცეპტანტის მიერ მოწვევის ოფერტის შესაბამისად შევსებული N2 დანართი, რომელიც ეგზავნება ოფერენტს დასადასტურებლად მოწვევის ოფერტაში მითითებული პირობების შესაბამისად;

1.1.4. „**ინტერნეტ მომსახურების ხელშეკრულება**“ - ოფერენტს და აქცეპტანტს შორის მოწვევის ოფერტაზე აქცეპტის გაკეთების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულება ინტერნეტის გლობალურ და საქართველოში განთავსებულ რესურსებთან კავკასუს ონლაინის მიერ აქცეპტანტის დაშვების მომსახურების შესახებ;

1.1.5. „**საპატიო მოცდენა**“ - გეგმიური სარემონტო და გეგმიური სხვაგვარი სამუშაოს ხანგრძლივობა, აგრეთვე, ფორსმაჟორული შემთხვევის მთლიანი ხანგრძლივობა.

1.1.6. „**ურთიერთჩართვის წერტილი**“- აქვს წინამდებარე მოწვევის ოფერტის 3.1 მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობა.

1.1.7. „**დაშვების საფასური**“- აქვს წინამდებარე მოწვევის ოფერტის 5.1 მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობა.

1.2. წინამდებარე მოწვევის ოფერტაში გამოყენებული სხვა ტერმინების მნიშვნელობა განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 2. დაშვებასთან დაკავშირებული დათქმები, დაშვების წინაპირობები და პროცედურები

2.1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 29 იანვრის N57/9 და 2019 წლის 14 მაისის Nგ-19-9/285 გადაწყვეტილებების შესაბამისად კავკასუს ონლაინი უზრუნველყოფს მეორე მხარისათვის ინტერნეტის გლობალურ და საქართველოში განთავსებულ რესურსებთან დაშვების მომსახურების მიწოდებას წინამდებარე მოწვევის ოფერტის შესაბამისად.

2.2. დაშვების პროცედურის ინიცირებისათვის აუცილებელი წინაპირობაა, რომ აქცეპტანტს არ ჰქონდეს კავკასუს ონლაინის მიმართ შეუსრულებელი რაიმე სახის ფულადი ვალდებულება და, რომ აქცეპტანმა კავკასუს ონლაინს წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები („**აქცეპტის დოკუმენტაცია**"):

2.2.1. ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად აქცეპტანტის მიერ მოპოვებული ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალი;

2.2.2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან აქცეპტანტის შესახებ;

2.2.3. აქცეპტანტის უფლებამოსილი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

2.2.4. აქცეპტანტის უფლებამოსილი წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალი ან დამოწმებული ასლი, იმ შემთხვევაში თუ აქცეპტანტს წარმოადგენს პირი, რომელიც არ არის მითითებული 2.2.2 პუნქტში მითითებულ ამონაწერში;

2.2.5. აქცეპტანტის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი და შევსებული აქცეპტის ფორმა.

აქცეპტის დოკუმენტაცია აქცეპტანტმა უნდა გააგზავნოს წერილობითი ფორმით, ფოსტით კავკასუს ონლაინის რეგისტრირებულ მისამართზე, აგრეთვე, ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: info@co.ge სათაურით (ელ. ფოსტის subject line-ში ჩასაწერი ტექსტი) "[ავტორიზებული პირის დასახელება]-ის აქცეპტის დოკუმენტაცია ინტერნეტის გლობალურ და საქართველოში განთავსებულ რესურსებთან დაშვების თაობაზე".

2.3. აქცეპტის დოკუმენტაციის წერილობით და ელექტრონული ფოსტით მიღებიდან 8 (რვა) სამუშაო დღეში კავკასუს ონლაინი შეისწავლის მათ შესაბამისობას ზემოთ მითითებულ მოთხოვნებთან.

2.4. იმ შემთხვევაში, თუ აქცეპტის დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს 2.2 მუხლის მოთხოვნებს ან აქცეპტანტს გააჩნია შეუსრულებლი ფულადი ვალდებულებები კავკასუს ონლაინის მიმართ, მაშინ კავკასუს ონლაინი დაუბრუნებს აქცეპტანტს აქცეპტის დოკუმენტაციას და ჩაითვლება, რომ აქცეპტი არ გაკეთებულა და, შესაბამისად, ოფერენტს არ აქვს ვალდებულება უზრუნველყოს აქცეპტანტის დაშვება ინტერნეტის გლობალურ რესურსთან.

2.5. იმ შემთხვევაში, თუ აქცეპტის დოკუმენტაცია აკმაყოფილებს 2.2 მუხლის მოთხოვნებს და აქცეპტანტს არ გააჩნია შეუსრულებელი ფულადი ვალდებულებები კავკასუს ონლაინის მიმართ, მაშინ კავკასუს ონლაინი უგზავნის მეორე მხარეს ინტერნეტის გლობალურ და საქართველოში განთავსებულ

რესურსებთან დაშვების მომსახურების ხელშეკრულების („**ინტერნეტ მომსახურების ხელშეკრულება**“) სამ ეგზემპლარს, რომელთაგან თითოეული მოიცავს კავკასუს ონლაინის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერას. ასეთ შემთხვევაში აქცეპტანტი ვალდებულია 4 (ოთხი) სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნოს კავკასუს ონლაინს აქცეპტანტის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი „ინტერნეტ მომსახურების ხელშეკრულების“ ორი ეგზემპლარი. დათქმულ ვადაში აქცეპტანტის მიერ „ინტერნეტ მომსახურების ხელშეკრულების“ სათანადო ფორმით კავკასუს ონლაინისათვის წარუდგენლობის შემთხვევაში ჩაითვლება, რომ აქცეპტანტი უარს ამბობს ინტერნეტის გლობალურ რესურსთან დაშვების კავკასუს ონლაინის მიერ შეთავაზებულ მომსახურებაზე და, რომ აქცეპტანტსა და კავკასუს ონლაინს შორის არ წარმოიშობა შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობა.

2.6. „ინტერნეტ მომსახურების ხელშეკრულება“ ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 6 (ექვსი) თვის ვადით.

2.7. „ინტერნეტ მომსახურების ხელშეკრულების“ საფუძველზე კავკასუს ონლაინის მიერ აქცეპტანტისათვის ინტერნეტის გლობალურ და საქართველოში განთავსებულ რესურსებთან დაშვების მომსახურება დაიწყება აღნიშნული ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, იმ პირობით, რომ მოცემულ ვადაში აქცეპტანტი დააკმაყოფილებს მოწვევის ოფერტით განსაზღვრულ ურთიერთჩართვის ტექნიკურ მოთხოვნებს.

2.8. „ინტერნეტ მომსახურების ხელშეკრულების“ მოქმედების განმავლობაში ნებისმიერ დროს, იმ პირობით, რომ მოცემული მომენტისათვის აქცეპტანტს შესრულებული აქვს კავკასუს ონლაინის მიმართ ყველა ფულადი ვალდებულება, აქცეპტანტი უფლებამოსილია მოითხოვოს ინტერნეტის გლობალურ და საქართველოში განთავსებულ რესურსებთან დაშვებისათვის დამატებითი გამტარუნარიანობის სიმძლავრის გამოყოფა. ასეთი წერილობითი მოთხოვნის წარდგენის შემდეგ, იმ შემთხვევაში თუ კავკასუს ონლაინს აქვს შესაბამისი რესურსი, კავკასუს ონლაინი და აქცეპტანტი გააფორმებენ შესაბამის ცვლილებას „ინტერნეტ მომსახურების ხელშეკრულებაში“. აქცეპტანტის მოთხოვნის გაგზავნა, განხილვა და დადასტურება, ხოლო შემდგომ კავკასუს ონლაინის მიერ აქცეპტანტისათვის ცვლილებების პროექტის გაგზავნა და გაფორმება ხორციელდება 2.2-2.5 და 2.7 მუხლებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების ანალოგიურად.

2.9. „ინტერნეტ მომსახურების ხელშეკრულების“ მოქმედება შეიძლება შეწყდეს შემდეგი საფუძვლებით:

2.9.1. მხარეთა შეთანხმება;

2.9.2. მოქმედების ვადის გასვლა;

2.9.3. ერთ-ერთი მხარის მიერ მოწვევის ოფერტის ან „ინტერნეტ მომსახურების ხელშეკრულების“ პირობების სისტემატური დარღვევა ან არაჯეროვანი შესრულება, თუ ამგვარი დარღვევა არ აღმოიფხვრა დამრღვევი მხარის მიერ მეორე მხარისაგან წერილობითი შეტყობინებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

2.9.4. ერთ-ერთი მხარის ლიკვიდაცია;

2.9.5. ერთ-ერთი მხარის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება;

2.9.6. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა საფუძვლები.

მუხლი 3. დაშვების ტექნიკური საკითხები და ხარისხი

3.1. ინტერნეტის გლობალურ და საქართველოში განთავსებულ რესურსებთან აქცეპტანტის დაშვების მიზნით მხარეებს შორის ურთიერთჩართვა ხორციელდება კავკასუს ონლაინის ქსელის ტექნიკურად დასაშვებ წერტილში, რომელი წერტილის/წერტილების მისამართებიც განსაზღვრულია მოწვევის ოფერტის N1 დანართით ("**ურთიერჩართვის წერტილი**").

3.2. კავკასუს ონლაინის მიერ აქცეპტანტის ინტერნეტის გლობალურ და საქართველოში განთავსებულ რესურსებთან დაშვების მიზნით პაკეტური კომუტაციის ქსელებით ინტერნეტ ტრაფიკის გადაცემა ხორციელდება TCP/IP პროტოკოლისა და BGP მარშრუტიზაციის პროტოკოლის მეშვეობით, ოპტიკური ან ეზერნეტ ინტერფეისის გამოყენებით.

3.3. კავკასუს ონლაინის მიერ ქსელის რეორგანიზაციის, მისი ადგილმდებარეობის, ან სხვა შემთხვევებში ურთიერთჩართვის წერტილის ცვლილების შემთხვევაში კავკასუს ონლაინი მეორე მხარეს აცნობებს წერილობით ურთიერთჩართვის წერტილის შეცვლამდე ერთი თვით ადრე.

3.4. კავკასუს ონლაინი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს აქცეპტანტის დაშვება ინტერნეტის გლობალურ და საქართველოში განთავსებულ რესურსებთან აქცეპტის ფორმაში მითითებული გამტარუნარიანობის სიმძლავრით მოწვევის ოფერტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3.5. ინტერნეტის გლობალურ და საქართველოში განთავსებულ რესურსებთან აქცეპტანტის დაშვება ხორციელდება ურთიერთჩართვის წერტილში „ინტერნეტ მომსახურების ხელშეკრულების" საფუძველზე. მოცემული მომსახურების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, მეორე მხარე ვალდებულია, საკუთარი ძალისხმევითა და ხარჯით უზრუნველყოს შესაბამისი ფიზიკური არხის მიყვანა ურთიერთჩართვის წერტილში და საკუთარი ტექნიკური საშუალებების (მათ შორის ფიზიკური არხის, პორტისა და პროგრამული უზრუნველყოფის) შესაბამისობაში მოყვანა კავკასუს ონლაინის მიერ ურთიერთჩართვის წერტილში განთავსებულ და ინტერნეტის გლობალურ და საქართველოში განთავსებულ რესურსებთან დაშვებისათვის განკუთვნილ ხელსაწყოებსა და პროგრამულ უზრუნველყოფასთან.

3.6. ინტერნეტის გლობალურ და საქართველოში განთავსებულ რესურსებთან აქცეპტანტის დაშვების მომსახურებას კავკასუს ონლაინი უზრუნველყოფს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 10 მაისის N4 დადგენილების, „ინტერნეტ-მომსახურების მიწოდების ხარისხის განსაზღვრისა და შემოწმების წესების დამტკიცების თაობაზე", შესაბამისად შემდეგი პარამეტრებით:

ა) ჯიტერი (მილიწამი)	<50
ბ) დაყოვნება (მილიწამი)	<150
გ) დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი (%)	<3
დ)მომსახურების ხელმისაწვდომობა (კალენდარულ თვეში, საპატიო მოცდენის ხანგრძლივობის გარეშე)	99.5%

3.7. მხარეები მიიღებენ ყველა შესაძლო გონივრულ ზომას, რათა უზრუნველყონ ურთიერთჩართვის საექსპლუატაციო უსაფრთხოება, როგორც ურთიერთჩართვის წერტილებში, ისე მხარეთა კუთვნილ მოწყობილობებზე.

მუხლი 4. ექსტრაორდინარულ, ფორსმაჟორულ, ავარიულ და სარემონტო სამუშაოების შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები და მხარეთა ურთიერთვალდებულებები

4.1. კავკასუს ონლაინმა გეგმიური სარემონტო ან გეგმიური სხვაგვარი სამუშაოების ჩატარების შესახებ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს სულ მცირე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე. გეგმიური სარემონტო თუ გეგმიური სხვაგვარი სამუშაოს ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 (ოთხი) საათს, არ უნდა სრულდებოდეს თვეში ერთზე მეტჯერ და უნდა ჩატარდეს 01:00-06:00 საათების ინტერვალში, გარდა იმ შემთხვევისა თუ მხარეები სხვა რამეზე შეთანხმდებიან.

4.2. დაზიანების შემთხვევაში, მეორე მხარე დაუყოვნებლივ უგზავნის კავკასუს ონლაინს შეტყობინებას ელექტრონული ფოსტით, შემდეგ მისამართზე noc@co.ge (ასლის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გადაგზავნით post@gncc.ge), დაზიანების შესახებ და კავკასუს ონლაინი იღებს ყველა შესაძლებელ ზომას, რათა გონივრულ ვადაში, რაც არ უნდა აღემატებოდეს შეტყობინებიდან 24 (ოცდაოთხი) საათს, აღმოფხვრას დაზიანების მიზეზები და აღადგინოს მომსახურების შეუფერხებლად მიწოდება. დაზიანების აღმოფხვრის ვადის ათვლა იწყება კავკასუს ონლაინი მიერ დაზიანების შესახებ შეტყობინების მიღებიდან.

4.3. მხარეთა პასუხისმგებლობა არ დგება დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია მოწვევის ოფერტითა და „ინტერნეტ მომსახურების ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

4.4. „დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ „ინტერნეტ მომსახურების ხელშეკრულების" გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ. კერძოდ, წყალდიდობა, მიწისძვრა, აფეთქებები, ხანძარი, ავარია, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, გაფიცვები, კანონმდებლობის ცვლილებები, რომლებიც აუარესებენ ხელშეკრულების პირობებს, სუბიექტების სამართლებრივ სტატუსსა და რეჟიმს. თუ ნებისმიერმა ზემოთნახსენებმა გარემოებამ უშუალოდ იმოქმედა მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროის თანაბარზომიერად გაიზრდება.

4.5. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ ყველა შემთხვევაში არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღისა ამ გარემოებების დადგომიდან და დასრულებიდან, აცნობოს მეორე მხარეს.

4.6. შეუტყობინებლობისა და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში შესაბამისი მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები შემდგომში უნდა დასტურდებოდეს.

4.7. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 15 (თხუთმეტი) დღეზე მეტხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ „ინტერნეტ მომსახურების ხელშეკრულების" მოქმედების შეწყვეტის საკითხი.

მუხლი 5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. აქცეპტანტისათვის კავკასუს ონლაინის მიერ გაწეული ინტერნეტის გლობალურ და საქართველოში განთავსებულ რესურსებთან დაშვების მომსახურების საფასური („**დაშვების საფასური**") გამოიანგარიშება N1 დანართში მითითებული ტარიფების შესაბამისად, აქცეპტანტის სასარგებლოდ „ინტერნეტ მომსახურების ხელშეკრულების" საფუძველზე ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების ფარგლებში გამოყოფილი გამტარუნარიანობის სიმძლავრის მოცულობის ან/და საქართველოში განთავსებულ ინტერნეტის რესურსებთან დაშვების ფარგლებში გამოყოფილი გამტარუნარიანობის სიმძლავრის მოცულობის გათვალისწინებით.

5.2. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კავკასუს ონლაინის მიერ მოწვევის ოფერტით განსაზღვრული პირობებისა და ტარიფების შეცვლის შემთხვევაში, კავკასუს ონლაინი ვალდებულია 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე აცნობოს მეორე მხარეს ინტერნეტის გლობალურ და საქართველოში განთავსებულ რესურსებთან დაშვების განხორციელების პირობებისა და ტარიფების ცვლილების შესახებ და შეცვალოს „ინტერნეტ მომსახურების ხელშეკრულებით" გათვალისწინებული შესაბამისი პირობები და ტარიფები გამოქვეყნებული მოწვევის ოფერტით შეთავაზებული პირობებისა და ტარიფების შესაბამისად.

5.3. მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს ყოველთვიურად, საბანკო გადარიცხვის პირობით. საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ ვადებში კავკასუს ონლაინი ვალდებულია მეორე მხარეს მიაწოდოს დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო ანგარიშფაქტურა დაშვების საფასურის დარიცხვის შესახებ. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე სრული მოცულობით, არაუგვიანეს საანგარიშსწორებო თვის მომდევნო თვის 14 (თოთხმეტი) რიცხვისა. გადახდის აღნიშნული ვადა პროპორციულად გადაიწევს ერთი მხარისათვის იმ ვადით, რა ვადითაც მეორე მხარე გადააცილებს წინამდებარე პუნქტში მითითებულ საანგარიშსწორებო დოკუმენტების წარდგენის ვადას.

5.4. ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში კავკასუს ონლაინი უფლებამოსილია ვალდებულების დარღვევის დღიდან დაარიცხოს აქცეპტანტს, ხოლო აქცეპტანტი ვალდებულია გადაუხადოს კავკასუს ონლაინს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ორაზროვნებისა და გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მხარეები თანხმდებიან, რომ გადახდილი თანხები პირველ რიგში მოხმარდება დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობის დაფარვას და მეორე რიგში - ძირითადი დავალიანების დაფარვას.

მუხლი 6. მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა

6.1. მხარეები თანხმდებიან, რომ გაცვლიან ინფორმაციას საკუთარი ტექნიკური საშუალებებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ, რომელთაც მხარეები გამოიყენებენ ინტერნეტის გლობალურ რესურსთან დაშვების მომსახურების ფარგლებში. ერთ-ერთი მხარის მიერ მეორესთვის მიწოდებული ინფორმაცია ჩაითვლება კონფიდენციალურად და წარმოადგენს მომწოდებელი მხარის საკუთრებას. ეს ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ მიზნებისათვის, რისთვისაც ისინი იქნა მიწოდებული.

6.2. მხარეები არ არიან უფლებამოსილნი მეორე მხარის ნებართვის გარეშე გადასცენ მესამე პირს 6.1 მუხლში მითითებული ინფორმაცია, თუ კანონის საფუძველზე არ არსებობს ასეთი ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება.

6.3. ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნა და პერიოდულობა განისაზღვრება მხარეთა საჭიროების მიხედვით.

მუხლი 7. მოწვევის ოფერტის ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

7.1. წინამდებარე ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების შეთავაზების წინადადება ძალაში შედის 2019 წლის 1 ივლისიდან და მოქმედებს 3 (სამი) წლის ვადით.

7.2. წინამდებარე მოწვევის ოფერტის N1 დანართით განსაზღვრული საქართველოში განთავსებულ ინტერნეტის რესურსებთან დაშვების მომსახურების ტარიფი ძალაში შედის 2019 წლის 1 აგვისტოდან.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1. მხარეთა შორის შეტყობინება განხორციელებულად მიიჩნევა მისი წერილობითი ფორმით შესრულებისა და უფლებამოსილი პირის დამოწმების შემთხვევაში. შეტყობინება მხარეებს უნდა მიეწოდოთ კურიერის, დაზღვეული წერილის, ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე, თუ მეორე მხარე 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე არ შეატყობინებს საკუთარი მისამართის შეცვლის შესახებ.

8.2. ერთ-ერთი მხარის მიერ „მოწვევის ოფერტით“ ან „ინტერნეტ მომსახურების ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ასეთი უფლების უარყოფას ან ასეთ უფლებაზე საბოლოოდ უარის თქმას.

8.3. კავკასუს ონლაინსა და მეორე მხარეს შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს შორის დავა განიხილება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ან/და სასამართლოს მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი N1

შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ ინტერნეტის გლობალურ და საქართველოში განთავსებულ რესურსებთან დაშვების მომსახურების ტარიფები:

ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან 1 მბ/წმ გამტარუნარიანობის სიმძლავრით დაშვების საფასური ლარში დღგ-ს გარეშე	9 ლარი
საქართველოში განთავსებულ ინტერნეტის რესურსებთან 1 მბ/წმ გამტარუნარიანობის სიმძლავრით დაშვების საფასური ლარში დღგ-ს გარეშე	0.50 ლარი

შპს „კავკასუს ონლაინის“ ურთიერთჩართვის წერტილის მისამართები:

ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის N160

დანართი N2

შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მოწვევის ოფერტაზე აქცეპტის ფორმა

1. აქცეპტანტის ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: _____

   აქცეპტანტის საფირმო სახელწოდება: _____

   აქცეპტანტის იურიდიული მისამართი: _____

   აქცეპტანტის საიდენტიფიკაციო ნომერი: _____

   აქცეპტანტის წარმომადგენელი: _____

   (პოზიცია, სახელი და გვარი) _____

2. ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვებისათვის აქცეპტანტის მიერ მოთხოვნილი გამტარუნარიანობის სიმძლავრის ფარგლები გამოხატული მბ/წმ ერთეულში: _____

   საქართველოში განთავსებულ ინტერნეტის რესურსებთან დაშვებისათვის აქცეპტანტის მიერ მოთხოვნილი გამტარუნარიანობის სიმძლავრის ფარგლები გამოხატული მბ/წმ ერთეულში: _____

3. აქცეპტანტის საკონტაქტო ინფორმაცია:

საკონტაქტო პირ(ებ)ის სახელი და გვარი	საკონტაქტო პირის პოზიცია	ელ. ფოსტის მისამართი	ტელეფონის ნომერი

4. შენიშვნა

_____

წინამდებარე „აქცეპტის ფორმაზე“ ხელმოწერით აქცეპტანტი ადასტურებს, რომ იგი სრულად გაეცნო, ეთანხმება და უპირობოდ შეასრულებს კავკასუს ონლაინის მიერ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მოწვევის ოფერტის ყველა და ნებისმიერ პირობას

_____ [ხელმოწერა]

_____ 201__ წლის _____

[აქცეპტანტის უფლებამოსილი წარმომადგენლის პოზიცია და სახელი და გვარი სრულად]